



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 6

„ 17 „ 10 2018 წ.

**დადგენილება № 26**

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის დამატებით ცეცხლფარეშის მოვალეობის შესრულების დაკისრებისა და დანამატის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:  
 წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, 2018 წლის 01 ნოემბრიდან ზამთრის სეზონის დასრულებამდე, დაევალოთ ცეცხლფარეშის მოვალეობის შესრულება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ თანამშრომლებს:

კომენდანტებს:

- ანზორ არბოლიშვილს;
- დემური ხითარიშვილს;
- რამაზ პეტაშვილს;
- გია მურმანიშვილს;

დამხმარე მუშას:

- გარიკ ვანციანს.

2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ თანამშრომლებს, ცეცხლფარეშის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მოვალეობის შესრულების განმავლობაში, ყოველთვიურად მიეცეთ დანამატი 100 (ასლი) ლარის ოდენობით.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

6. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართვა N1327399, 15.10.2018 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე